„Иверія“ (ежедне[вно])
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Бер[…] гр.
Пурцхванидзе


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** იუწყება საყოველთაოდ, რომ მის მიერ დანიშნულია ქალაქის მკურნალ-დესინფენქტორად მკურნალი ი. ა. რაზამატი, რომელიც სდგას მიხეილის ქუჩაზედ, № 19, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და სთხოვს ყველას უკეთუ გაძნელებული მოარული ანუ გადამდები ავადმყოფობა შეუდგეს ვისმე, ზემოხსენებულს მკურნალს მიჰმართოს პირდაპირ გასაწმენდად და გასასუფთავებლად სადგომისა და სახლებისა (დეზინფექციისა და ასენიზაციისათვის). (1—1)

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან.**

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ გრიგოლ სპანდარის ძის თანდოევის მამული, ამ ბანკში დაგირავებული, დაინიშნა ბანკის წესდების მე-14 § ძალით საჯაროდ გასასყიდად, რადგან მან არ შემოიტანა ბანკის წესდებით დაწესებული შემოსატანი. არ გაიყიდება მამული მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ბანკს წარმოუდგენენ ხვედრს ფულს.

ზემოხსენებული მამული საძოვარი ადგილია და ხეხილიანი ვენახი, ზომით 8 დესეტინა და 2383 ოთხ-კუთხი საჟენი; იმყოფება ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფელ გელდილისში და სახელად ეწოდება „საბურთალო“. (1—1)

**ქართველთა ამხანაგობის გამგეობა**

ამით აუწყებს, რომ ამხანაგობის აგენტებად დაინიშნენ: დ. ცხინვალში ბ-ნი იასონ ხიმშიაშვილი და ქ. სიღნაღში ბ-ნი ივ. ქიტიევი. (3—3)

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აუწყებს თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის მყიდველთ, რომ ამხანაგობამ უკვე მიიღო პეტერბურგში დაბეჭდილი ავტორის სურათი და, ვისაც უყიდნია ზემოხსენებული წიგნი, შეუძლიან სურათი წარმოადგინოს ახალზედ გამოსაცვლელად.

თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-II ტომიც ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. (5—3)

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 28 მაისს, მისი უმაღლესობა დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე აბასთუმნიდგან ბორჯომში ჩამობრძანდა. იმ დღეს ბორჯომი დროშებით მორთული და საღამოს გაჩირაღდნებული იყო. საუცხოვო ღამე შეჰხვდა. მეორე დღეს დილით მისი უმაღლესობა ტფილისის გუბერნატორისა და სხვა მისის ამალითურთ წაბრძანდა კოდიანს, სადაც დროებით გამართულია მისის უმაღლესობისა და მის ამალისათვის ბანაკი.

*** აი სარწმუნო ამბავი ხოლერისა: სამარყანდში გუშინ-წინ კიდევ ხუთი კაცი გამხდარა ხოლერით ავად, მაგრამ ხალხი ცოტა იხოცება, რადგანაც რუსეთის ადმინისტრაციამ ყოველივე ღონის-ძიება მიიღო ამ სენის მოსასპობლად. სადეზინფენქციო წამლები და სხვა-და-სხვა ინსტრუმენტები ექიმებისთვის საგანგებო მატარებლებით იგზავნება სამარყანდში. ამ დღეებში სამარყანდში და იმიერ-კასპიის სხვა-და-სხვა ქალაქებში კავკასიიდგან, ტაშკენტიდგან და აშტარხნიდგან თორმეტს ექიმს მიელიან. უზუნადაში მეოთხე დღემ ხოლერის გაჩენისამ მშვიდობიანად ჩაიარა და ავად არავინ არ გამხდარა, თუმცა მცხოვრებლები ძალიან შიშობენ და ბევრნი მათგანნი გაიქცნენ. ასხაბადში გუშინ ერთი კაცი გამხდარა ავად ფაღარათობით და მაშინვე მოუშორებიათ სად ნათესავებისა და სახლობისათვის, ვაი თუ ხოლერა იყოსო. მერვში ხოლერის გაჩენის შესახებ გავრცელებული ხმა ტყუილი გამოდგა.

ვინც-კი იმიერ-კასპიის მხარეს ხოლერით კვდება, მაშინვე ღრმა ორმოში ასაფლავებენ ტიტველას, ზედ აყრიან დაუმლელს კირს ნახევარ არშინზე, შემდეგ ზედ წყალში გახსნილ თეზაფს ანუ სულემას ასხამენ და მერე-კი მიწას აყრიან. ყაშგარიდგან იუწყებიან, რომ იქ აგერ მეხუთე დღეა ხოლერა გაჩენილა და ათ ავადმყოფში რვა ცხრა კაცი თურმე კვდება.

სპარსეთში ხომ ხოლერა ჯერ კიდევ მძვინვარებს. მეშედში ერთს დღეს ას ოცი კაცი კიდევ მომკვდარა. ხოლერის გავრცელებას ბევრსა შველის სპარსელების ბინძურობა და ფანატიკოსობა. როცა ვინმე უკვდებათ, მიცვალს უჰრიან და აცლიან შიგანეულს, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ საიქიოს უსუფთაო შიგანეული საჭირო აღარ არის კაცისათვისაო. ამ შიგნეულს არა ჰკრძალავენ მიწაში, არამედ ჰყრიან ჰაერზე და ხოლერის სენი ამით უფრო ვრცელდება. მეშედში ხოლერამ ამოსწყვიტა ათ მაისიდგან ივნისამდე ხუთი ათასამდე კაცი. ევროპის ექიმები და ელჩები ბევრს ურჩევდნენ თურმე ამ ფანატიკოსობის თავის დანებებას, მაგრამ სპარსელებმა ყურადღება არ მიაქციეს და ეს საზარელი სენი რუსეთშიაც გადმოიტანეს.

ასტრაბადიდგან ამბავი მოვიდა, რომ იქ სულ ხუთი კაცი მომკვდარა ხოლერით და ისიც ისინი, ვინც მეშედიდგან გამოქცეულა. ხოლერით ავადმყოფები ასტრაბადში სულ თხუთმეტამდე კაცია. ასტრაბადიდგან იმიერ-კასპიის მხარეს გადმოსასვლელს გზაზე რუსეთის მთავრობამ ამ სამის დღის წინად კარანტინი დააწესა.

რადგანაც იმიერ-კასპიის მხარეს ხოლერა აღმოჩნდა, ბუხარის ემირი, როგორც დეპეშით იუწყებიან, ივნისის დამლევს პეტერბურგს აღარ წავა და მოუცდის ხოლერის განელებას.

ტფილისში გუშინ ხმა გავრცელდა, რომ ხოლერა აქაც აღმოჩნდაო და ორი კაცი ორთაჭალაში, ერთი—ვერაზე, რვა—ავლაბარში და ხარფუხში მოკვდა ამ სენითაო. შეგვიძლიან დავარწმუნოთ მკითხველნი, რომ ეს ჭორია და ხოლერა არც ტფილისში და არც სხვაგან სადმე საქართველოში არ არის. მართალია, ვერაზე ერთი კაცი უცბად მოკვდა, მაგრამ იმის სიკვდილის მიზეზი ხოლერა-კი არ იყო, არამედ ბევრის არაყის სმა, რისგანაც წარმოსდგა ფაღარათობა და ყელის ანთება.

*** დღეს, 5 ივნისს, დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის საქალაქო საბჭოსი. განსახილველი საგნებია: ა) მოხსენება სასანიტარო კომისიისა და გამგეობისა იმის შესახებ, თუ რა ღონის-ძიებანი უნდა იქმნას მიღებული ქალაქის გასაღიანებისათვის ხოლერის გაჩენის გამო სპარსეთში და ბ) აზრი შენობათა კომი-

## ფელეტონი

### შროშანა

(ჰეინესი)

შროშანამ კრძალვით ასწია თავი,
წყლიდან მაღალსა ცასა შეჰხედა;
მთვარემა ციდამ აშიყი სხივი
გადააფრქვია შროშანას ზედა;

—

შერცხვა, რომ სხივი ეხვევა გარე,
და ისევ წყალსა მიაპყრო თვალი,
მაგრამ წყალშიაც ისევ ის მთვარე
შესტრფიალებდა, ეშხითა მთვრალი.

ყ. და გ.

### ტიტია და ივანე

(ძველი ამბავი)

ტიტია ტკინკაჩიძე [illegible] სო-ფელ[illegible] [illegible]. ტი-[illegible] და ჰქონდა და [illegible] სახლ[illegible] ივანე [illegible] კი გ[illegible] ც[illegible] და [illegible] [illegible]. და წყევ[illegible] გაცხოვებული მკა და ეოპის ძახილი. როცა დაიღალნენ და დასხდნენ მუხის ჩრდილ ქვეშ, ხალხი შემოისხეს და ჩამოურიგეს თიხის ჯამებით ბლომად მოხარშული ძროხის ხორცი და მერმე ღორის მწვადები, მოათრიეს ტიკით ღვინო და ეს ნამუშავარი და სიცხისაგან გაქელეშებული ხალხი მიესია და, მანამ ძალზედ არ დაძღნენ და არ მიიბრუჟნენ, აღარ დაიძრნენ. ტიტიამ დაიძახა:

— კარგია, ხალხნო, ერთი-ორი სვე მაინც კიდევ გაიტანეთ, მე და ივანე-კი პატარა ხან აქ გავგორდებით...

მაშინ ხალხი აიშალა და ისევ ყანას შეესივნენ... ტიტიამა და ივანემ თავიანთთვის ჭიკჭიკი დაიწყეს. ტიტიამ უთხრა ივანეს:

— ახლა ჩვენ სულ ამ ხვნასა და მკაში უნდა ამოვირთოთ სული?..

— მაშ რა ვქნათ?

— ერთხელ ჩვენც ქალაქში წავიდეთ და ვიქეიფოთ, ვიზე რა ნაკლები აზნაურ-შვილები ვართ?.. აგრე ოც-და-შვიდი წლისა ვსრულდები და ჯერ ქალაქი არ მინახამ...

— მეც შენი ხნისა არა ვარ?.. ჩაფიქრდა და სათქვა: ძალიან არ აქებენ იმ ტიალსა?!.

— წავიდეთ, კაცო, რა ცოლშვილი აგვიტირდება?..

— მაშ მოდი პირობა შევკრათ, შემოდგომაზედ ლაზათიანი ტანისამოსი შევიკეროთ, მოვირთოთ, შევსხდეთ ცხენებზედ და გავწიოთ, იქ რამდენიმე დღე დავრჩეთ და ვიქეიფოთ...

— მაიტა მაშ ხელი, ვინც არა,— „ჭირი“...

— თითოს რამდენი თუმანი უნდა დაგვჭირდეს?

— ბევრი ბევრი, ხუთ-ხუთი...

— „ჯანი წაუვიდეს, მაგთენს ხომ თხლესა და ჭაჭასაც გავყიდით...

**

ოქტომბრის სამს ტიტია და ივანე პირობისამებრ ტფილისისაკენ გაემგზავრნენ. ერთი მსახურიც თან იახლეს, რომ ცხენები უკანვე გამოეტანებინათ. როგორც მივიდნენ უჯარმას, შემოუღამდათ და თქვეს, რა ვქნათ, ამაღამ ქალაქში სადღა ჩავაღწევთ. თუ გარეთ დავრჩით და, სიცივით დავიხოცებითო. ხან აქ მივიდნენ გლეხკაცისას, ხან იქ, მაგრამ არავინ არ შეუშვა; ამ ტრიალში რომ იყვნენ, ერთი ცხენიანი კაციც მოვიდა და იმანაც ბინის ძებნა დაიწყო. ბოლოს, როგორც იყო, ერთმა გლეხკაცმა ბევრის ხვეწნა-მუდარის შემდგომ სამნივე სახლში მიიღო და თითონ თავის ჯალაბობით გომურში შევიდა. როცა მგზავრები დაბინავდნენ, ახლა სიმშილი აუტყდათ. ტიტიამ ივანეს დააბრალა:

— საგზალი შენ არ წამომაღებინე, დღეს ჩავალთ ქალაქში და რად რამ გვინდაო: ეხლა მშივრები უნდა დავრჩეთ...

— არა, შენი ბრალია, შენა თქვი, უწევთო...

— უცხო კაცმა ჰკითხა:

— სადაურები ბრძანდებით?..

ივანემ მიუგო:

— ჩვენ კახელი აზნაურ-შვილები ვართ...

— მერე განა არ მოგეხსენებოდათ, რომ ამ დღეში კახეთიდამ ქალაქში ერთ დღეს ვერ უწევდით.

— ჯერ ჩვენ ამის მეტად ამ გზაზედ არ გვივლია და რა ვიცოდით, თუ ასე შორს იყო...

— მაშ ქალაქში ჯერ არ ბრძანებულხართ?..

— არა,

ამ კაცმა შეატყო, რომ სამნივე აზნაურშვილები ბრძანდებიან და ჩაიცინა...

დაეკითხა ტიტია ამ კაცს:

— თქვენ ვიღა ბრძანდებით?

— მე გახლავარ ისაკა ქლესოვი.

— სადაური ბრძანდებით?

— ქალაქელი?

— სად მიბრძანდებით?

— ემანდ ხაშმზედ, პურის სასყიდლადა. წყალს მოუმატნია და ეხლა ველარ გავბედე ამაღამ გაღმა გასვლა...

— გეტყობათ სამსახურის კაცი ბრძანდებით?

— დიაღ, ქალაქში კვარტალნათ გახლავართ...

— კარგია გაგიცანით, ივანემ წამოიძახა: ქალაქში ერთი ნაცნობი კაცი მაინც გვეყოლება.

— რატომ არა?..

— ვახშმათ რომ ვიშოვიდეთ რასმე, ქალაქის ანბებსაც გავამამდით...

ივანემ უბრძანა მსახურს:

— აბა ბიჭო, გაიქე და ერთი ქათამი და პურები გვიყიდე სადმე...

მსახურმა მიუგო:

— პურები-კი გახლამთ, ჩემთვის ჩავიწყე ხურჯინშია.

— მაშ ქათამი იყიდე...

სიისა ავჭალაში წყალის საწმენდ მაშინების შესახებ.

*** ქალაქის გამგეობის უფროს აგენტად დანიშნულ იქმნა პირველ ივნისიდგან ბ-ნი დ. გ. ბილანაშვილი, ნაცვლად ბ-ნ ალიხანოვისა, რომელიც სხვა კერძო სამსახურში გადავიდა. ბილანიშვილის ადგილი მისცეს სამსახურიდგან გამოსულს პოლკოვნიკს თომაევს.

*** როგორც ამბობენ, ოსმალეთში იქაურს ცენზურას ტფილისიდგან სომხურის გაზეთის „არძაგანქის“ მიღება აღუკრძალავს.

*** ა. ს. ხახანაშვილი, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფება, მიემგზავრება ერევნის გუბერნიასა დ კახეთში, რადგან მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებას დაუვალებია დაათვალიეროს ზემოხსენებულს მხარეში ღირსშესანიშნავი წარწერები და ძველებური მხატვრობა. ამას გარდა, საბუნებისმეტყველო, საეტნოგრაფიო და საანთროპოლოგიო საზოგადოებას მიუნდვია ბ-ნ ხახანაშვილისთვის, რომ გეოგრაფიულად აღწეროს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების“ მინდობილობით, წევრი ხსენებულ საზოგადოების გამგეობისა ბ-ნი ცხვედაძე ამ დღეებში გაემგზავრება ბათუმში იქაურ სკოლის სარევიზიოდ. ამ რევიზიამ უნდა გადასწყვიტოს ბედ-იღბალი ბათუმის ქართულის სკოლისა. ამ უკანასკნელს დროს, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ლაპარაკი ჩამოვარდა საზოგადოებაში იმის თაობაზედ, რომ ხსენებული სკოლა ბათუმიდგან ქობულეთში იქმნას გადატანილი. შეიძლება ბევრი კარგი საბუთი ჰქონდეს „საზოგადოებას“, რომ ქართული სკოლის გადატანას აპირობს ქობულეთში, მაგრამ ამასთანავე არც შემდეგი გარემოება უნდა დაივიწყოს. ქართული სკოლა ბათუმისათვის ეხლა უკვე საჭიროებას შეადგენს; ათი წელიწადია, რაც იგი ბათუმში არსებობს და საზოგადოება უკვე შეეჩვია. ეხლა უეცრად სკოლის გაუქმება ძლიერ სამძიმო იქნება ბათუმისთვის. თუ როგორმე მოახერხეს, ის ემჯობინება, რომ ქობულეთში სხვა ქართული სკოლა გაიმართოს და ბათუმისა ისევ ბათუმშივე დარჩეს.

*** დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი ქართული წიგნი „ნიმუში ქართველთა ერის პოეზიისა“, დაწერილი სააბაშიოში სამსონ ლონლაძის მიერ. წიგნში მოთავსებულია სხვა-და-სხვა მშვენიერი ხალხური ლექსი და ორი არაკი. წიგნი შეიცავს 34 გვერდს და ჰღირს ორი შაური.

*** ორს ამ თთვისას ტფილისის ქალაქის მოურავმა საჩივარი მიართვა ტფილისის გუბერნატორს უმართებულესს სენატში წარსადგენად—იმის თაობაზე, რომ საგუბერნიო ადმინისტრაციამ ქალაქს უკანონოდ დააკისრა ერევნის გზატკეცილის მოვლა $2^1/_2$ ვერსზე ქალაქის ტფილისის მიდამოში. საჩივარი ქალაქის მოურავისა ამ გვარად არის დასაბუთებული: 1890 წელს გზათა სამინისტრომ გააუქმა გზა-ტკეცილი ტფილისიდგან აქსტაფამდე, რადგან რკინის გზა არის გამართული. გუბერნიის ადმინისტრაციამ თავისის მხრით შესაძლოდ ვერა სცნა ხსენებულ გზა-ტკეცილის გაუქმება, რადგან მახლობელ ადგილებისათვის დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, და მისი შენახვა დააკისრა გუბერნიის საერობო დაწესებულებათ. ქალაქის მოურავის აზრით, თუ ხსენებული გზა ერობის მზრუნველობას მიენდო, ქალაქი განთავისუფლებულ უნდა იყოს განსაკუთრებულის ხარჯისაგან ხსენებულ გზის შესანახავად, რადგანაც გუბერნიაში ქალაქი საერობო გარდასახადს დიდს იხდის. რაკი ამ სახით საერობო გარდასახადს იხდის, ქალაქს უფლება აქვს ცოტაოდნად ისარგებლოს მაინც იმ საქმით, რა საქმეზედაც ის გარდასახადი იხარჯება. ხოლო საგუბერნიო ადმინისტრაცია განსაკუთრებულს ხარჯსა სთხოვს ქალაქს ხსენებულის გზის შესანახავად და ამ სახით ორი ხარჯი მოსდის ქალაქს ერთის საქმისათვის. ამის გამო ქალაქის მოურავი ითხოვს, რომ ხსენებული განკარგულება საგუბერნიო ადმინისტრაციისა გაუქმებულ იქმნას.

*** გუშინ, 4 მაისს, დილის 8 საათზე, ტფილისიდგან სურამში გაემგზავრნენ საიუნკრო სასწავლებლის მოწაფენი.

*** ჩვენ მივიღეთ კიდევ ახალი ქართული წიგნი: „გმირისეულის ქალი“, მოთხრობა სოფრონ მგალობლიშვილისა, დაბეჭდილი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ. მოთხრობა „გმირისეულის ქალი“ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ფელეტონებად ამ ოთხიოდე წლის წინად. წიგნი საკმაოდ სუფთად და ლამაზად არის დატამბული. ამ წიგნში $27^1/_2$ ფურცელია და ჰღირს 20 კაპ.

*** ჩვენის ქალაქის ახალგაზდა ხელოსნებმა ამ ბოლოს დროს ევროპისაკენ იწყეს გამგზავრება და იქ თავიანთ ხელობის უკეთესად შესწავლა. მაგალითად, ამ ჟამად ორი ქართველი ახალგაზდა ხელოსანი გერმანიაშია და იქ ისე კარგად შეუსწავლიათ თავიანთი ხელობა, რომ იქაურს ქარხნებში დარჩენილან სამუშაოდ მექარხნეთა თხოვნით. ერთი ქართველი ახალგაზდა ხელოსანი შარშან ამერიკაში წავიდა და ერთიც ამ დღეებში გაემგზავრა ნიუიორკს, ედისონის ქარხანაში უნდა ვიმუშავოვო. ეს ახალგაზდა აპოლონ ცხვიროშვილია, რაჭველი, სოფ. ტოლიდამ. პირველად ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქარხანაში სწავლობდა რკინის ხარატობას. აქ ჩინებულად დაუმთავრებია სწავლა. ასე მომზადებულს ხელოსნებს ძლიერ ადვილად იღებენ ედისონის ქარხანაში და სამს წელიწადს ამთავრებს სახელოსნო სწავლა-ცოდნასაო.

*** ოზურგეთი: კვირას, 31 მაისს, ყაჩაღებმა ხელ-ახლა მოგვაგონეს თავი. სოფ. მელექედურს მოჰკლეს ერთი ყაზახი რუსი და ორიც დასჭრეს და ტყესა და ღრეს მისცეს თავი. ყაზახები დიდი ხანია იდგნენ ამ სოფელში ყაჩაღთა წინააღმდეგ სამოქმედოდ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ განკარგულებამ ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი.

*** გორი: მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ყველა მაზრიდგან იყვნენ გლეხები ყარაიაზში კალიის გასაჟლეტად. სხვათა შორის ჩვენის მაზრიდანაც იყვნენ გაგზავნილნი გლეხნი რამდენისამე სამამასახლისოსი და აი 29 მაისს რა ამბავი მომხდარა იქ: როდესაც აგროვებდნენ გლეხები კალიას, ნავთს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ დასაწვავად, ამ დროს ორს გლეხს, რომელნიც იყვნენ სოფ. გომიდგან გაგზავნილი, მოეკიდათ ცეცხლი ტანისამოსზედ. ცეცხლ მოკიდებულები და გამწარებულები დარბოდნენ აქეთ-იქით ტრიალ მინდორზე იმოდენა მუშა ხალხში. ეს ამბავი შენიშნა თურმე გორის მაზრის უფროსის თარჯიმანმა ა. პ—ვმა, რომელიც მაზრის უფროსის განკარგულებით იყო დანიშნული თავმდგომელად გლეხებისა კალიის გაწყვეტის დროს. მაშინვე გაჰქანდა, სწვდა ჯერ ერთს, შემოახია ტანისამოსი და ტიტველა დასტოვა. აგრეთვე მეორეც გაატიტვლა და ამ სახით ორივენი ცეცხლს გადაარჩინა. თუმცა გლეხებს სხეულამდის უწია ცეცხლმა, მაგრამ, იმედია, რომ მორჩნენ. დამწვას გადარჩენილი ცოცხალ მკვდარი გლეხები ტფილისის სამკურნალოში არიან დღეს მოსარჩენად. თითონ ბ-ნს პ—ვს ცეცხლ-წაკიდებულ ტანისამოსის ხდაში და შველებაში ხელები ძალზე დასწვია.

*** აჯაქაბული: 2 ივნისს, საღამოს 10 საათსა და 25 წამზედ მატარებელი № 33 როცა ისართან მიახლოვდა, მეისრემ კოვალენკომ სიჩქარის გამო ისარი რიგიანად ვერ გაასწორა და მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. უბედურება არა მომხდარა-რა. 1 საათსა და 30 წამზედ მატარებელი ისევ ლიანდაგზედ შეაყენეს.

*** ყვირილა: 3 ივნისს მატარებელი № 41 ყვირილას სადგურს მიუახლოვდა, სადგურზედ არ გაჩერდა და ტფილისისკენ წამოვიდა. ამ დროს იქვე ლიანდაგიდგან ორი ვაგონი უნდა გადაეყვანათ. მატარებელი № 41 ამ ვაგონებს დაეჯახა და ორი ჩამოსასვლელი კიბე მოსტეხა.

*** გაგვაი: სოფ. ბათაყოში, ეს სამი კვირა მეტია, რაც რაღაც გადამდებმა სახადმა იჩინა თავი. სამაზრო მკურნალმა ძლიერ საშიშ სახადად იცნო; დარიგება მისცა სოფელს და რაღაც საპკურებელი წამლებიც დაუტოვა; სოფელმა საკუთარი ფერშალი დაიქირავა ავადმყოფების ყურის საგდებლად; ჯერ რამდენსამე სახლში გამოსჩენიათ. რომელს სახლშიაცკი შევა ეს სენი, სანამ სულ ყველანი ავად არ დახდებიან, მანამ თავს არ ანებებს. ავადმყოფობის ნიშანი შემდეგია: პირველადვე საშინელს სიცხეს აძლევს და ავადმყოფი გიჟივით ხდება. თუ ავადმყოფს პირველიდგანვე სიცხესთან ძლიერ სიწითლეც დაჰყვა, ეს იმისი ნიშანია რომ მორჩება. ვისაც სიცხის დროს ტანზედ შავშავ ლაქებს აყრის, ისინი აღარა რჩებიან. ამნაირად, როგორც ამბობენ, ეს სენი შავი სახადი უნდა იყოს. ოსებში სამძიმარზედ წასვლა იციან, როგორც კაცებმა ისე დედაკაცებმა. ამისთანა სახადიანს მიცვალებულზედ სხვა სოფლიდგან მისულმა დედაკაცებმა შეიძლება სხვა სოფელშიაც მოსდონ ეს საშინელი სენი და ამიტომ ძლიერ კარგს იზამდენ, რომ აღუკრძალონ დედაკაცებს ამისთანა გადამდებ სენით გარდაცვალებულის სახლში სიარული.

*** იქიდამე: წარსულის წლის ზაფხულს ბარის ოსების საეკკლესიო სამრევლო სკოლების ინსპექტორი მამა ლეონიდი სკოლების სარევიზიოდ არ მოვიდა არ ვიცით, რა მიზეზების გამო. ამ ზაფხულს მაინც იმედი ჰქონდათ მასწავლებელთა და მოსწავლეთაც—წელს მაინც დაგვხედავს ჩვენი ინსპექტორიო, მაგრამ წელსაც გაუცრუვდათ მოლოდინი. მამა ლეონიდის მაგივრად წელს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის მინდობილობით, არდონის სკოლის ზედამხედველმა მამა

---

ბიჭი რომ წავიდა ტიტიამ ჰკითხა ისაკას.

მართლა, როგორი რამ არის ის თქვენი ეხლანდელი მთავარ-მართებელი? ძალიან პურადს არ ამბობენკი...

— ოღონდაც, მიუგო ისაკიმ:— თითო ისეთ წვეულობას მართამს, რომ ღამეში ასი თუმანი პირს არა ჰსწმენდს“.

გაიოცა ივანემ და სთქვა:

— აბაი, აბაი, ისეთს რასა სჭამენ. ასე ვთქვათ: თუნდა სულ ცალიერი დაკეპილი ცხვრის დუმა იყოს, მაინც მაგდენი ფული როგორ უნდა დაეხარჯოს?...

— რომ მიბრძანდებით მაშინ ნახამთ, უთხრა დაცინვით ისაკამ.

ჩვენ იმასთან რა საქმე გვაქვს, ჩვენ საქეიფოდ მივდივართ...

ამ დროს ბიჭი შემოვიდა და მოახსენა:

— ვიარე, ვიარე და ვერ ვიშოვნე, არავინ არ მომყიდა...

— მაშ რა გვეშველება? ორთავ ერთ ხმად წამოიძახეს.

— სწორე გითხრათ, მეც-კი მოშივდა—უთხრა ისაკამ... აბა, ბიჭო, ერთი სახლის პატრონს აქ დაუძახე.

ბიჭი გავიდა და სახლიმ პატრონი შემოგზავნა:

— მაშ გასასყიდ ქათამს ვერ გვიშოვნი? უთხრა ისაკამ ამ კაცსა.

— არა მყავ, შენი ჭირიმე.

— ბატი?

— არც ის.

— ინდოური?

— მაგისთანა მსხვილ-მსხვილი უფრო სად არი?

— როგორ, არა გყავთ-რა?

— რომ გახლდეთ-რა.

— კვერცხები?

— თუ ქათამი არ მეყოლება, კვერცხი რიღასი იქნება?..

— ვერც ყველს გვიშოვნი?

— ვინ მოგვაშავა...

— კაცო, ან ლობიო, ან მწნილი?

— არა გვაბადია-რა და რა კუყო.

— მაშ იცი, რა გითხა: შენ კარგი ლამაზი კენჭები ამიკრიფე, გარეცხე და მომიტანე, ქვის შეჭამანდს მაინც გავაკეთებ. ქვაბს ხომ მათხოვებ?

— გლეხ-კაცმა ჩაიცინა და ღიმილით მიუგო:

— რატომ არა.

გავიდა გომურში და ცოლს უთხრა:

— არიქა, დედაკაცო, მიშველე, ქვაბი და წყალი შეუტანე, მე კენჭებს ავკრეფავ და კარგად უყურე, რომ ქვის შეჭამანდი ისწავლო...

გაიოცა დედაკაცმა და სთქვა:

— რას ამბობ, ქაა? ქვის შეჭამანდი ვის გაუგია?!.

— ჰოდა კიდეც ეგ არის საკურველი, ჩვენისთანა ღარიბ ხალხს გამოადგება, რომ ისწავლიდე...

დედაკაცმა საჩქაროდ ქვაბი და წყალი შეურბევინა, კაცმა კენჭები მიართო, ისაკამ კიდევ გარეცხა კენჭები და ქვაბში ჩაყარა, წყალი დაასხა და ცეცხლზედ შემოდგა. როცა ადუღდა, იმ დედაკაცს უთხრა:

— შეიძლება, რომ ორი თავი ხახვი და ერთი ჯამი შვინდის ჩურჩა მომიტანო?

— რატომ არა, ბატონო... გაიქცა და სიხარულით მოურბევინა. ეს ყმაწვილები და სახლის პატრონი განცვიფრებული უყურებდნენ, აცა რას იზამსო. ისაკამ ხახვი დაჰსჭრა, შვინდის ჩურჩა გარეცხა და ორივ ქვაბში ჩაყარა, ერთი-ორი რომ წამოიდუღა, უთხრა კიდევ დედა-კაცს:

— ახლა ნიგოზი დიმინაყე და მოიტანე, შავანელო... დედაკაცმაც დანაყა ბლომად ნიგოზი და მოართო. ისაკამ ნიგოზი ჩაყარა, მიურივ-მოურია და პატარა ხანს უკან უთხრა:

— ეხლა ჯამები მომიტანეთ... მოართვეს ჯამებიც, ისაკამ ყველას კერძი დაუსხა, კენჭები ამოკრიფა, დედაკაცს მისცა და უთხრა:

— აჰა ეს-კი შეინახე და შენც გამოგადგებაო... თითონ ჩაიყარა პური ამ ხირხიტოში და შეექცნენ. ტიტია და ივანე იძახოდნენ: ეს ქვის შეჭამანდი რა გემრიელი ყოფილაო. ისაკი-კი გუნებაში ანბობდა, ამ მხეც ხალხში თუ ეს არ მომეგონებინა, მშიერი დავრჩებოდიო... როცა დასაძინებლათ მიწვნენ, ჩამოუგდო ივანემ ისაკას ლაპარაკი:

— ახლა ჩვენ რომ ქალაქში ჩავალთ, სად უნდა დავდგეთ?. ისაკამ მიუგო:

— ნათესავი არავინა გყავთ?

— არა.

— მაშ კოლოტაანთ ბაკში მშვენიერი ოთახები გახლამთ და იქ ინებეთ დგომა.

— ჰოო, ეგ კარგია...

— მერმე აბანოშიაც ხომ წაბრძანდებით?

— როგორ არა...

— როდესაც ტანს დაიბანთ, ხუთიექვსი სტაქანი ლუღიდამ ჩამოდენილი ცხელი წყალი უნდა მიირთოთ, რომ კუჭშიაც რაც ჭუჭყი გაქვთ, გასწმინდოს, თორემ მტკვარი ძალიან ცივი წყალია და პირველათ რომ ეიირთმევთ გაწყენთ...

— ოჰ, რა მიხარიან, რომ შემხვდით, თქვენგან ყველას კარგათ გავიგებთ... ამ ლაპარაკში ჩაეძინათ. დილით, რომ გაიღვიძეს, დაუძახა ტიტიამ:

— ისააკ, ისააკ!.. ისაკამაც ხმა მიჰსცა:

— ჰამე?.

— აბა, მივდივართ და შენ დაიგვიანებ?

— არა, მეც ხვალ იქა ვარ...

— მაშ მშვიდობით...

— იქ, რასაკვირველია, გნახამთ, უთხრა ივანემ, მაგრამ რომ არ ვიცით თქვენი სახლი რა ადგილას არის?

— რომელი ერთი განიშნო, მე ქალაქში ხუთ-ექვს ადგილასა მაქვს სახლები... მოჰყვა და ვისიც უპირველესი სახლები იყო, სულ თავის სახლებად მოუთვალა...

— კარგი, მოგახსენებთ... ესა თქვეს და გასწიეს ქალაქისაკენ.

(შემდეგი იქნება)

ო ნემ დ.იარა ს რევ ზ... აქაური სკოლები.

*** სომხურს გაზეთს „ნორ-დარს“ სწერენ ბათუმიდგან, რომ იქ ამასწინად საშინლად მოვარდნილა ჩოროხის წყალი და მრავალი ქართველ-მაჰმადიანთ სოფლები წაულეკია. წაულეკია ყანები, ბაღები და სახლები. ესეთი უბედურება ამ სოფლის ხალხს თითქმის ყოველს წელიწადს ემართებათ ხოლმეო.

*** გაზეთი „ნორ-დარ“-ი სწერს, რომ დროებით აკრძალულია იმიერ-კასპიის მხრისა და სპარსეთიდგან ბაქოში სავაჭრო საქონლის შემოტანაო.

*** 4 ივნისს პოლიციის მოხელემ ნიკოლოზოვმა აღმოაჩინა ცხვრის დასაკლავი ორი საიდუმლო ადგილი—სამების ვიწრო ქუჩაზე თუხარელის სახლში პავლე დემურიოვსა და ბაგრატ ხაჩინოვთან. დამნაშავეთ ოქმი შეუდგინეს და პასუხის გებაში მისცეს.

*** 3 ივნისს, ნაშუადღევის ორს საათზე სენაკის მაზრის მასწავლებელს ნიკო ბოკერიას ლაბორატორიის ქუჩაზე 6 მან. დიაბუღი ჩოხა მოჰპარა ვასილ რომანოვმა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს ტფილისის მცხოვრებლის ცოლს დარია პარტენოვისას ნაკოლოოზის ქუჩაზე ლამპა გაუსკდა ხელიდამ, ნავთი გადაესხა ტანზე და ცეცხლი მოეკიდა, რის გამოც დაეწვა პირისახე, ხელი და მხარი. ქალი სამკურნალოში გაგზავნეს საქიმოდ.

## ქვეყნის ცხოვრება

(მოწერილი ამბავი)

**სუხუმი.** მაისს 12 მიწვეულნი გახლდით ბ-ნ სუხუმის ოლქის უფროსისაგან სხვა-და-სხვა წოდების ამორჩეულნი კაცნი კოდორის და გუდაუთის „უჩასტკებისა“ მოსალაპარაკებლად და მოსასაზრებლად—თუ რა საშუალება იქმნას მიღებულ მოსასპობლად ამ უკანასკნელ ხანებში მეტად ატეხილ ცხენების ქურდობისა. ამ ლაპარაკს დაესწრო და მონაწილეობაც მიიღო აქაურმა მომრიგებელმა შუა-კაცმა ნ. ალექსიევ-მესხიევმა, რის გამო ჩვენმა ყრილობამ, ბაასის გათავების შემდეგ, გულითადი მადლობა გადუხადა.

წაკითხულ იქმნა ის არზა, რომელიც ჩვენმა თავად-აზნაურობამ და გლეხ-კაცობამ კოდორისამ მივართვით ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორს და რომლითაც ვთხოვდით შეწყნარებას ჩვენ მიერ შედგენილ სხვა-და-სხვა დონისძიებათა პროექტისას მასპობლად ამ საშინელის სენის. ამ სენმა იძულებულ გვყო ვსთხოვოთ, რომ ჩვენ თითონვე გავწყვიტოთ ჩვენივე ცხენი—თუ საქონელი—ისე შეგვაწუხეს ქურდებმა. არზის წაკითხვის შემდეგ გამოვუცხადეთ ოლქის უფროსს, რო უკეთუ ეს ჩვენი დროებით წესები არ იქნება შეწყნარებული მთავრობისაგან, ქურდობა სხვა ფრივ არ ამოვარდება-თქო ჩვენში და მიწასთან გაგვასწორებს-თქო დიდსაც და პატარასაც.

ერთი ჩვენთაგანი ხაშუყო ანჩაბაძე წადგა წინ და დაახლოვებით წარმოსთქვა შემდეგი: „ქურდები იქამდის გათამამდნენ, რო არამც თუ გვივარდებიან სახლებში და გვტაცებენ ცხენს და საქონელს, ჯარიმასაც-კი გვახდევინებენ—თუ დროით და ნებით არ ჩავაბარეთ, რასაც-კი გვთხოვენ.

„ამას წინად, წარმოსთქვა ერთმა მოხუცმა მწარის ღიმილით: ერთს ღარიბ-ღატაკს მოჰპარეს ერთად-ერთი მწველელი ძროხა, ჩვილის, მაწოვარის ხბოს გაყოლება-კი ველარ მოახერხეს. მეორე დღეს მოდის მთხრობელი (ან თვითონ ქურდი, ან მისივე ამხანაგი) და ეუბნება ძროხის პატრონს: „ხუთი თუმანი მომეცი და შენს ძროხას დღესვე იპოვნი“. ღმერთი არ არის შენში, ეუბნება ძროხის პატრონი, ჩემი ძროხა მევე ვიყიდო?! ნუ იყიდი-და, ნახამ რაც მოგივა! დამუქრებული შორდება მთხრობელი. იმ ღამეს ის ხბოც გაქრა!“

ბ-ნ ოლქის უფროსის კითხვაზედ—თუ რა მიზეზია ასე ატეხილ ქურდობისა, ეს ვუპასუხეთ: „წინად ქურდების ლაგმად გახლდათ ის წესები, რომელიც ჩვენში იყო შემოღებული და რომელიც აწ გაუქმებული გახლავთ, როგორც წინააღმდეგი კანონისა და რომლის აღდგენის ნება-დართვის შუამდგომლობას, სადაც და ვისთანაც ჯერ არს, თქვენა გთხოვთ, გევედრებით. ეს პირველი. მეორე ის, რომ ქურდებს აკავებდა შიში გარდასახლებისა საადმინისტრაციო წესით. ეხლა-რაკი ზოგიერთი ჩვენთაგანი, ჩვენშიაც-კი შესანიშნავი ქურდი, ჩვენისავე თხოვნით დამწყვდეული და საადმინისტრაციო წესით გაგზავნილი, დაბრუნდა, მოთავეობითა მათითა ასტყდა ეს საშინელი ქურდობა: იმათ და იმათმა მომხრეებმა გაავდეს მთელს აფხაზეთში ხმა „დასტურია ქურდობისაო!“ თავად რა ვიყავით და ამ ხმის და ცხადის მაგალითის დანახვის შემდეგ, სულ გადვირიენით!.. გვიშველეთ, თქვენი ჭირიმე! დაგვიხსენით ამ ჭირისაგან; არაქათი აღარ არის! ვიმეორებთ: ლამის საქონელი გავიწყვიტოთ და გაგვიწყდეს... ჩვენ ძალიან კარგად გვესმის და ვიცით, რომ რასაც ვითხოვთ, არ ეთანხმება ეხლანდელს კანონებს, მაგრამ ჩვენც იმიტომ გაწუხებთ და გევედრებით შეწყნარებას ჩვენის წესებისას, რომ მეტი ჩარა აღარა გვაქვს, რომ კანონიერის დევნით, „სუდებით“ ვერა გავხდი რა. და ვერას გავხდებით კიდეცა...

ასე და ამ ნაირად ლაპარაკობდა ჩვენ მაგიერ ჩვენი ხაშუყო. ოლქის უფროსმა და მომრიგებელმა შუაკაცმა ნ. ალექსიევ-მესხიევმა ატეხეს ერთიერთმანეთში რაღაც ჩუმი ლაპარაკი, რომლის შემდეგ პირველმა აღგვითავა შუამავლობა მთავრობის წინაშე შესახებ ჩვენის თხოვნის შეწყნარებისა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ორის წლის წინად თვით ოლქის უფროსს წარედგინა თითქმის ამ გვარივე წესდებანი, მაგრამ თურმე არ შეეწყნარათ...

დამსწრე ვინმე კოდორელი

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

„Правительственный Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდა მთავრობა შარშანდელს სიმშილს და რამდენი ხარჯი მოუვიდა ან ხაზინას და საზოგადოებას. ხსენებულს განცხადებაში მთავრობას 150 მილიონი მანათი აქვს აღნიშნული დახარჯულად ამ საქმეზედ. განცხადების დასასრულს მთავრობა ამბობს: შესაძლებელი იქნებოდა, თუ არა, ნაკლების გაჭირვებით გაგვეწია სიმშილთან ბრძოლა, ხალხის გამოკვების საქმე რომ სხვა წესით გვქონდეს მოწყობილიო? რომ მართლა საშინელის გაჭირვებით გაიტანა რუსეთმა თავი სიმშილთან ბრძოლაში, ამას თვით ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ხარჯი 150 მილიონი მიუვიდათ. მაგრამ ეს ხარჯი მხოლოდ ერთი ნაწილია იმ ზარალისა, რომელიც შარშანდელმა სიმშილმა მისცა რუსეთს. ხსენებული ხარჯი ხარჯად წავიდა, მაგრამ ამას გარდა, სახელმწიფო ხაზინასა და საერობო კასებს სიმშილობისავე მიზეზით შემოსავალი ძლიერ შეუმცირდათ. აი მაგალითად, სახელმწიფო ხაზინას მარტო სასმელების ბაჟი და სახელმწიფო გარდასახადი შარშან 40 მილიონით ნაკლები შემოუვიდა შედარებით წინა წელთან. წელსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის ყოველგვარი შემოსავალი უმცირდება სახელმწიფო ხაზინას.

ყოველივე ეს მხედველობაში უნდა იქონიოს კაცმა და იანგარიშოს, როცა ზარალის რაოდენობასა ვარაუდობს. ანგარიშში ორ გვარად უნდა იწარმოებოდეს—ხარჯი, დახარჯული ფული, ცალკე და შემოსავლის შემცირებაც კიდევ ცალკე. სიმშილმა შეარყია თვით წყარო სახელმწიფოს შემოსავლისა და ამასთანავე მოულოდნელი ხარჯიც მოახვია მთავრობას თავზე. კითხვა არ უნდა, რომ შემდეგისათვის საქმის განსაკარგებლად ორ გვარად უნდა იზრუნოს სახელმწიფომ—საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ სიმშილის დროს თავისი ხარჯიც ნაკლები მოუნდეს ხალხისათვის და მეორეც, სიმშილმა არ გაანადგუროს და არ დაშრიტოს წყარონი შემოსავლისა. ერთის სიტყვით, საჭიროა, რომ ძირითადად შეიცვალოს აწინდელი წესი ხალხის კვების საქმისა. ეს ორივე მხარე ხსენებულის საგნისა ძლიერ ახლოა ერთი ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ კარგად არ არის უზრუნველ ყოფილი ხალხის გამოკვების საქმე და შემოსავლის წყაროთა დაუშრეტელობა, სახელმწიფოს მოუსავლობის დროს ყოველთვის მეტის ხარჯის გაღება დასჭირდება ხალხის დასახმარებლად, ხოლო თუ პირველი პირობა შესრულებულ იქნება, მაშინ სახელმწიფოს აღარც საიმისო დიდი ხარჯი მოუვა და არც შემოსავალი შეუმცირდება დიდად. ზემოხსენებული განცხადება მთავრობისა სწორედ იმიტომაა დიდად საყურადღებო, რომ შარშანდელის გამოცდილებით უგრძვნია უვარგისობა ხალხის კვების აწინდელი წეს-რიგისა და განუზრახავს იმის წესდებაში დიდის ცვლილების მოხდენა. ხალხის კვების შესახები დაგანონებანიო, სწერია მთავრობის განცხადებაში: ვერ ეთანხმება ჩვენის მეურნეობის აწინდელ წეს-რიგის საჭიროებათაო. პირველ ნაკლულევანებად ხსენებულის წესდებისა ის არის აღნიშნული, რომ მოუსავლობის დროს სათანადო დაწესებულების უქონლობისა გამო მთავრობა და საზოგადოება ნამდვილად ვერ შეიტყობს ხოლმე საჭიროების რაოდენობას. სწორედ ამიტომ მოხდა წელს, რომ სარატოვის გუბერნია ეხლანდელ სიმშილის გამო სესხსა სთხოვდა მთავრობას და დროზე ვერ მიიღო, რადგან საჭიროების რაოდენობა კარგად და რიგიანად ვერა ჰქონდა გამოანგარიშებულ-დასაბუთებელი. ესეთივე ამბავი დაემართა ბევრს სხვა გუბერნიასა და ერობასაც. რომ ეს მხარე საქმისა კარგად იყოს დაყენებული, მაშინ ამ გვარი ამბები და გაუგებრობა საჭიროებისა აღარ მოხდებოდა.

მთავრობის განცხადებაში კიდევ მეორე დიდი ნაკლია აღნიშნული ხალხის კვების საქმის წესდებისა. ეს ნაკლია უქონლობა იმ გვარ დაწესებულებათა, რომელსაც შეეძლოს დაუყოვნებლივ, დროზედ და რიგიანად აღსრულება ხალხის გამოსაკვებად სხვა-და-სხვა განკარგულებათა და ღონისძიებათა. ამ ჟამად ხსენებულ გვარ დაწესებულებათა მაგიერობასა სწევენ გუბერნატორები და ერობანი, მაგრამ საჭიროა კიდევ მრავალი მეორე ხარისხის მოღვაწე, რომელთა სამაგიეროდ წარსულს ზამთარს დანიშნულები იყვნენ დროებითი მზრუნველნი და წევრნი მცირე სასოფლო საქველმოქმედო დაწესებულებათა.

ბევრი ნაკლი აქვს ხსენებულის წესდების იმ მხარესაც, თუ ხალხი უზრუნველ როგორ უნდა ჰყონ სურსათით სიმშილის დროს. წესდების მიერ ნაჩვენები ამისი წყარონი ძლიერ ულონოა და მეორეც მკვიდრთა წოდებობაზეა დამყარებული. წესდების აზრით, მხოლოდ სესხით უნდა დაეხმაროს სახელმწიფო ხალხსა; ხოლო ეს სესხი ადრე თუ მალე სრულიად გაანადგურებს სამეურნეო ძალას გლეხკაცობისას... ამიტომ სცნა მთავრობამ საჭიროდ ძირითად ცვლილების მოხდენად ხსენებულის წესდებისა.

განზრახულ ცვლილებათა მოხდენის სამზადისში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან წარმომადგენელნი სახელმწიფო და საერობო მმართველობისა, რადგან ყველა იმათ ეხლანდელ სიმშილობის დროს ბევრი იღვაწეს და შეიძლება გამოსადეგი რამ ურჩიონ მთავრობას საშემდეგოდ.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ამ დღეებში მოხდა მინისტრთა ბჭობა, რომლის დროსაც გარდაწყვეტილ იქმნა, რომ პარლამენტი დაითხოვონ 13 ივნისს. მეთაურნი ოპპოზიციისა დაეთანხმნენ ამ ვადას და მოურიგდნენ მთავრობის მომხრე დასის მეთაურებს იმის თაობაზე, რომ დათავებულ იქმნას პარლამენტის მუშაობა. ოპპოზიცია წინააღმდეგობას აღარ გაუწევს, აღარ დააბრკოლებს და ამის გამო ჯერ განუხილავი პროექტები ძველის პარლამენტის მიერვე იქმნება განხილული. ამიტომ პარლამენტი იძულებულია ძლიერ შეამოკლოს სადღესასწაულო ვაკაციები, რომ ყველა განსახილველ პროექტის გასინჯვა და დამტკიცება მოასწროს ზემოხსენებულ ვადამდე ე. ი. პარლამენტის დათხოვნამდე. ამ დღეებში ლიბერალთა დასის მეთაური გლადსტონი საარჩევნო მოგზაურობას დაიწყებს მიდლოტიანში და 10 დღეს მოანდომებს ამ მოგზაურობას.

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრიულს გაზეთებში მრავალი აღწერაა დაბეჭდილი იმ დღესასწაულისა, რომელიც პეშტი მოხდა იმპერატორ ფრანციოსების მიერ წმ. სტეფანეს გვირგვინის კურთხევის 25 წლის იუბილეის გამო. ავსტრი-ვენგრიის „მორიგება“ 1867 წელს მოხდა. ავსტრიის იმპერატორის მიერ ვენგრიის გვირგვინის კურთხევა დასაწყისია ვენგრიის აწინდელის საკონსტიტუციო წეს-წყობილებისა და, რასაკვირველია, მადიარები დიდის აღტაცებით მიეგებნენ იქით ორშაბათს პეშტში მისულს იმპერატორს ფრანც-იოსებს. დღესასწაულს მხოლოდ საერო და საეროვნო ხასიათი ჰქონდა. ქუჩებში იმპერატორის გავლის დროს ჯარი-კი არ იყო აქეთ-იქით ჩარიგებული, არამედ თვითონ ხალხი იდგა მწკრივად. მწკრივადვე იდგა ორასამდე დეპუტაცია სხვა-და-სხვა დაწესებულებათა. მიუხედავად ამისა, როცა იმპერატორი ფრანც იოსები მიბრძანდა პეშტში, წესიერება არაფრით არ დარღვეულა, ყველაფერმა რიგიანად და ჩინებულად ჩაიარა. მშვენიერი სანახავი იყვნენ ამ დროს ცხენოსანი ვენგრიელნი მაგნატნი დ თავად-აზნაურნი, რომელნიც ძვირფასს საეროვნო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი. მათი ცხენებიც აგრეთვე ძვირფასად და მშვენიერად იყვნენ მორთულები. საღამოზედ თეატრში საიუბილეო წარმოდგენა გაიმართა. წარმოდგენილ იქმნა განგებ საამდღეოდ დაწერილი პიესა, რომელშიაც აღნიშნულია ყოველივე შესანიშნავი საისტორიო ამბავი ვენგრიელთა ცხოვრებისა, დაწყებული 1526 წლიდგან, როცა ბრძოლა მოხდა მაგაჩში, ვიდრე 1867 წლამდე, როცა ავსტრიის იმპერატორმა ფრანციოსებმა იკურთხა ვენგრიის გვირგვინი წმ. სტეფანესი.

**ოსმალეთი.** ერთს ინგლისურს გაზეთს სწერენ საბერძნეთის ქალაქ პირეიდგან: „აქ ამბავი მოვიდა, რომ სომხეთში, მუშისა და სასუნის ოლქებში აჯანყება მოხდაო. ოსმალეთის მთავრობამ ჯარი გაგზავნა აჯანყებულთა დასამშვიდებლად, მაგრამ ვერას გახდა. ჯარი ოსმალეთისა ძლეულ იქმნა სომხების მიერ. ამბობენ, აჯანყება თანდათან უფრო და უფრო ვრცელდებაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

21 აპრილს გამართულ წარმოდგენიდამ რაბათის დედათა სკოლას დარჩა წმინდა შემოსავალი 30 მ. 32 კ., რომელიც, მონაწილეთა სურვილისამებრ, მიემატა იმ თანხას, რომელიც გროვდება ამ სკოლისათვის შენობის ასაგებად. ამ თანხისა დღემდის იყო 111 მან. 68 კ., ამით შესდგა 142 მან. ამ ფონდის სასარგებლოდვე ს. აგიაშმ შემოსწირა 10 მან., მაშასადამე, სულ შესდგა 152 მანეთი. გამგე კომიტეტი ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა გულითადს მადლობას უცხადებს ბ-ნს აგიაშეს და წარმოდგენის გამმართველთ; სახელდობრ: ბ-ნთ ე. პ. და ნ. პ. ასათიანებს და ბბ. კ. პ. და ნ. გ. ასათიანებს, ა. ე. მიქელაძეს, კ. ა. სვიმონიშვილს, გ. კ. ჯაფარიძეს, ა. ი. ყორღანოვს, ს. აგიაშეს და გ. გურასოვს

ბილეთების გაყიდვისათვის. განსაკუთრებულს მადლობას, განმეორებით, კომიტეტი უძღვნის კ. პ. და ნ. პ. ასათიანებს, რომლებიც სიტყვითაც და საქმითაც თანაუგრძნობენ საზოგადოების სკოლას და მუდამ მზად არიან რამე შემწეობა აღმოუჩინონ.

კომიტეტი მადლობას უცხადებს აგრეთვე ბ-ნს ი. ს. ზედგინიძეს, რომელმაც ზემოხსენებულს სკოლას ამ წელშიაც გამოუწერა თავისის საფასურით საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, და (კიდევ) ს. ს. აგიაძეს, რომელმაც შემოსწირა ამ სკოლასვე დიდი ეთნოგრაფიული რუკა კავკასიისა.

## დეპეშა

4 ივნისი

**პეტერბურგი.** გუშინ ზღვათა სამინისტროს გამგებელი წავიდა კასპიის ზღვის ნავთ-სადგურთა დასათვალიერებლად.

**პერნოვი.** აქ მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ.

**ვენა.** დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე დღეს სახლობითურთ წაბრძანდა გლეიხენბურგში.

**ბრიუსელი.** სენატში არჩეულ იქმნა 44 კათოლიკი და 30 ლიბერალი. ხელ-ახლად კენჭი უნდა უყარონ 3-ს. დეპუტატთა პალატაში არჩეულ იქმნა 92 კათოლიკი და 62 ლიბერალი, ხოლო კენჭი ხელახლად უნდა უყარონ 5-ს. მღელვარება დიდია. ქუჩებში რამდენიმე შეტაკება მოხდა. რამდენმამე დასმა ლიბერალებისამ მანიფესტაციები მოახდინეს კათოლიკეთა წინაალმდეგ ბრიუსელისა, ლიუტიხსა და გენტში, სადაც კათოლიკეთა კლუბის სადგომი აოხრებულ იქმნა და კათოლიკეთა სამღვდელოების სადგომებში ფანჯრები ჩაამტვრიეს. საქმეში ჩაერივნენ ცხენოსანი ჟანდარმები და წესიერება აღადგინეს ქუჩებში. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

**ბელგრადი.** სრულიად ნამდვილი ამბავი გამოდგა, რომ ბოლგარიაში გაიწვიეს მრავალი ავსტრიელი აფიცერი, რომ ჯარს ასწავლონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ სიმაგრეების აშენების დროს. აფიცრები უკვე შეუდგნენ საქმესა.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,64 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 153½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,10 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 241½ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 221½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 193½ | — ,, | 194 |
| ვირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | 102½ |
| 5% | — ,, | — ,, | 99½ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | 102½ | — ,, |
| 5% | — ,, | 99½ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98½ |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გან ადისაითს.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „



## განცხადებანი

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლე-
(7—74—4)

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—56)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში:

**,,ახალი ანბანი''**

ვლ. აღნიაშვილისა.

1) „ან“, წერა-კითხვა. . . . 10 კ.
2) „ბან“, წვრილ-წვრილი ლექსები . . . . . . . . . 10 კ.
3) „გან“, პატარ-პატარა ამბები. . . . . . . . . . . 10 კ.
4) „დონ“, პატარ-პატარა ამბებივე. . . . . . . . . 10 კ.
5) „ენ“, გასართობი. . . . . 10 კ.

**,,სიჭაბუკის ცოდვა''**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.
(36—10)

**მაღაზია სარპინკებისა**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—23)

**ახალი სტამბა**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

**სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**





საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებ № 21.